ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

30 იანვარი 2026 წ. **ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2**
12:00 სთ

მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე.
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი, **ბექა მიქაუტაძე,**ზურაბ აბაშიძე, ლევან აბაშიძე,ალექსანდრე მუკათარიძე, მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია, დავით ფანჯაკიძე, ირაკლი ბენდელიანი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. **საკრ.№12-03260288-03 28/01/2026**
2. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **საკრ.№15-032602881-03(11-01260282082 28/01/2026)**
3. ,,ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-0326020102-03 20/01/2026**
4. ,,ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-0326029157-03 29/01/2026**
5. ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-0326029157-03 29/01/2026**
6. ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
საკრ.№12-0326029158-03 29/01/2026
7. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 405410648) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0326020101-03 20/01/2026**
8. ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ: 01002011178) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე. **საკრ.№12-0326020101-03 20/01/2026**
9. ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს

„სავარასთვის“ (ს/ნ 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032602690-03 26/01/2026**

10. ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.016) ნინო ბაღაშვილისთვის (პ/ნ: 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ.№12-032602688-03 26/01/2026

11. ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ: 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ.№12-032602689-03 26/01/2026

12. ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032602692-03 26/01/2026**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ: 405653859) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-032602369-03 23/01/2026**

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრ.№12-032602371-03 23/01/2026

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ (ს/ნ: 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე

საკრ.№12-0326028153-03 28/01/2026

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საკრ.№12-0326029152-03 29/01/2026

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საკრ.№12-0326029156-03 29/01/2026

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს “ბრბ სოლარს“ (ს.კ.: 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების და შპს “ბრბ სოლარის“ (ს.კ.: 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საკრ.№12-0326029155-03 29/01/2026

19. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **საკრ.№12-0326029154-03 29/01/2026**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2026 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების ნაწილის 273 860,1 ათასი ლარის (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული ნაშთი - 2 095,6 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 22 560,0 ათასი ლარით (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი (საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 17 560,0 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის MRD N01/18 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება ჯამში 296 420,1 ათასი ლარით და შეადგენს 2 506 978,3 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 13 490,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 572,8 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 800,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 1 200,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება

კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 1 130,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 6 000,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 23 800,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 18 000,0 ათასი ლარი, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) – 1 300,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) – 15 847,0 ათასი ლარი, სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02) - 1 491,0 ათასი ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 8 937,0 ათასი ლარი, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 350,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 2 000,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 5 752,0 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 610,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 387,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 1 539,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 1 240,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 3 069,1 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 2 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 3 200,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 2 045,7 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 1 200,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 35 597,4 ათასი ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) – 17 953,2 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 1 536,7 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 4 330,0 ათასი ლარი, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 235,2 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) – 2 234,1 ათასი ლარი, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 800,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) – 6 606,5 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 349,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 411,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 300,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 1 800,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 1 700,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 700,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 3 000,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 385,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 190,5 ათასი ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) – 294,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება

სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 241,7 ათასი ლარი, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 821,1 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 915,4 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი07 01 02) – 27 854,2 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 3 400,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) – 17 560,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) – 284,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) – 261,4 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) – 200,8 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) – 159,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) – 147,7 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) – 221,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) – 238,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) – 275,9 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) – 113,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) – 193,2 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 300,0 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 778,4 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 1 500,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 170,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 200,5 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 300,8 ათასი ლარი, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა (კოდი 08 06 09) – 1 800,0 ათასი ლარი, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 432,7 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები -3 361,5 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27)– 30,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 181,8 ათასი ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 300,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 143,2 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 36,8 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 254,6 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 209.0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 90,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 58,6 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული სახლების გამოსყიდვა - 10 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 01) პროგრამის ფარგლებში, იზრდება სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 28 ერთეულით, ხოლო მცირდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 5 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) - მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა - 10 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 12 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით.

ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვა წარიმამრთა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტეს გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყება საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი“ გატანილი იქნას საკრებულოს უაზლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი-ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ცვლილებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე, იზრდება “100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება” ქვეპროგრამის (კოდი 06 02 05) პირველი კვარტლის ბიუჯეტი 260 000 ლარით, და „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება” ქვეპროგრამის (კოდი 06 02 22), პირველი კვარტლის ბიუჯეტი 115 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამების მე-2, მე- და მე-4 კვარტლის ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე.

აღნიშნული კვარტალური ცვლილებების დამაბალანსებელი თანხა მოძიებული იქნა „სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება“ ქვეპროგრამაში (კოდი 06 02 08). აღნიშნულიქვეპროგრამის პირველი კვარტლის გეგმა მცირდება 375 000 ლარით.

მომხრე-10

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წერიგით წარმოდგენილი მომდევნი საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა გიორგი კობიაშვილმა.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული

ფართები საკუთრებაში გადაეცემა 7 პირს (7 ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 578.71 კვ.მ ფართი
შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება რომ ეს ოჯახები მისამართზე ცხოვრობს 1980-2012 წლეიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ,,ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში, პირველ სართულზე არსებული 53.57 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ,,ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N3-ი ფართით 61.08 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(1ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ნანა კირკიტაძე 2 შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1999 წლიდან.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი" ახორციელებს თბილისში, კალოუბნის ქ#18-ში მდებარე ავარიული მღავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების პროექტს.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკვე განხორციელდა არსებული ავარიული მრავალბინიანი 3 საცხოვრებელი სახლის სადემონტაჟო სამუშაოები და მიმდინარეობს ახალი მრავალბინიანი

10 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები. დადგინდა, რომ პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებმა დააზიანა მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, რის გამოც ამ პირის მიერ მოთხოვნილი იქნა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩანაცვლება.
ფონდიც შუამდგომლობს და საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე მდებარე 3 ერთეული უძრავი ქონების (ს/კ #01.19.20.017.037;#01.19.20.017.002 და #01.19.20.017.036) თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის სანაცვლოდ - თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული 50,1 კვმ კომერციული ფართის (ს/კ#01.19.20.017.008.01.02.002) და 29კვმ ((ს/კ#01.19.20.017.008.01.01.009) მოქალაქისათვის საკუთრებაში გადაცემა.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა:ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 405410648) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „ტიერა ჯგუფს“ (ს/ნ: 405410648) დაგაეცემა „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „ტიერა ჯგუფის“ სარგებლობაშია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N64-ში, პირველ სართულზე არსებული 63.34 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.14.03.036.002.01.511).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, მხოლოდ მსუბუქი მაგიდისა და სკამების განთავსების შემთხვევაში, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების, სტაციონარული ქოლგების გარეშე.
წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 405410648) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2026 წლის 24 ნოემბრამდე ვადით, გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 480 ლარით
მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის" (ს/ნ: 405410648) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ: 01002011178) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, კახაბერ გზირიშვილს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით , ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაეცემა, ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, შარდენის ქუჩა N12-ში, N01.18.03.061.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასაცხოვრებელი ფართი 59 კვ.მ და 31.50 კვ.მ ფართი.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქალაქ არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ ,რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ასევე წარმოდგენილია ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი დადებითი პოზიცია. სააგენტოს მითითებით დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების სტაციონალური ქოლგების გარეშე.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება კახაბერ გზირიშვილისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 10 500 ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ: 01002011178) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის" (ს/ნ 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „სავარას" (ყოფილი - შპს „ლიმა ფასთრი" - ს/ნ 405798793) იჯარით გადაეცემა, ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.501) , ღია

კაფეს მოსაწყობად. 3 წლის ვადით. კომპანია იჯარით ფლობს თაქთაქიშვილის ქ. N5/ფალიაშვილის ქ. N43-ში არსებულ ფართს (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.001.01.513), 2028 წლის 25 აგვისტომდე ვადით.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო მითითებით განტავსდება მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები (ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების, ქოლგის გარეშე) ხეების გასწვრივ ერთ რიგად.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სავარასთვის" (ს/ნ 405798793) იჯარით გადაცემას, 2028 წლის 25 აგვისტომდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1920 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის" (ს/ნ 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე , საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.016) ნინო ბაღაშვილისთვის (პ/ნ: 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით,ნინო ბაღაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით კიბის ფუნქციონირებისათვის გადაეცემა, ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.016). მითითებული უძრავი ქონება მას გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2025 წლის 26 სექტემბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე შესასვლელი კიბისათის.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 152 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.016) ნინო ბაღაშვილისთვის (პ/ნ: 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე , საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ: 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ლევან ჩერქეზიშვილს იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცემა. ქ. თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037), კიბის მოწყობის მიზნით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის თანახმად, მას საკუთრებაში აქვს ქ. თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფ. ბელინსკი) N19-ში, N01.15.02.016.005.01.520) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე კიბის განთავსებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ქ. თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037), იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხი 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 144 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ: 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე,საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, მარინე ჯიქიძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით,იჯარით სარგებლობაში გადაეცემა, ქალაქ თბილისიში , ირაკლი აბაშიძის ქ. N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022), 10 წლით, არსებული კიბის შემდგომი ფუნქციონირებისთვის. პიროვნება საკუთრების უფლებით ფლობს ირაკლი აბაშიძის ქ. N29-ში არსებულ ფართს (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.001.01.002). მიწის ნაკვეთი აღნაგობით იყო გადაცემული აღნიშნული ფართის წინა მესაკუთრესთვის, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლის ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 576 ლარის ოდენობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით განსაზღვრული აღნაგობის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე,,საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ: 405653859) გათავისუფლების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ

უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1. პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე განახორციელოს საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობა. ამასთან, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, ამ ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება. ხოლო, შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნული ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით“.

ასევე, კომპანია თავისუფლდება ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ: 405653859) გათავისუფლების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის N23.804.897 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9

ივნისის N260 განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოს, კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას შორის 2023 წლის 20 ივნისს გაფორმდა შეთანხმება , რომლითაც შეიცვალა ხელშეკრულების 3.4. და 3.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვადები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია ვალდებულია, მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 თვის ვადაში და სამშენებლო პროექტის პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 23 თვის ვადაში. რაც შეეხება, პარკის მშენებლობის ნებართვის მოპოვებას - კომპანია ვალდებულია მითითებული ნებართვა მოიპოვოს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მითითებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 26 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა სხვა პუნქტი უცვლელი დარჩა.** ზემოაღნიშნული განკარგულებებით კომპანიას ჯამურად ეპატია პირგასამტეხლო 624 800 ლარის ოდენობით;

ასევე, ს/კ: N01.14.06.004.004 მიწის ნაკვეთზე პირველადი მშენებლობის ნებართვა გაიცა 2023 წლის 24 აგვისტოს №6630569 ბრძანებით. ამასთან, განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა 2023 წლის 19 მაისის N205 განკარგულებით.

ხელშეკრულების 3.6. პუნქტის შესაბამისად „კომპანია ვალდებულია, ქონების მიმღები პირებისთვის გადასაცემი შესაბამისი საცხოვრებელი ფართების (შესაბამისი შენობა-ნაგებობების) მშენებლობის სრულად დასრულება (ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობით) და ფაქტობრივ მფლობელობასა და საკუთრებაში გადაცემა უზრუნველყოს პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან **30 თვის** ვადაში (**2026 წლის 24 თებერვალი**), მაგრამ არაუგვიანეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 33 თვისა **(2026 წლის 19 თებერვალი)**".

კომპანიამ 2025 წლის განცხადებებით, მიმართა სააგენტოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით.

კომპანია განცხადებით აღნიშნავს, რომ ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეუსრულებლობა განპირობებული იყო მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, სამშენებლო კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი (ფართობი - 659 კვ.მ.) 2021 წლის სექტემბრიდან (ობიექტის პრივატიზების შემდგომ) თვითნებურად დაიკავა მოქალაქის მიერ,რომელმაც თვითნებურად ააშენა 3 (სამი) ერთეული ნაგებობა, 2 (ორი) ერთეული კაპიტალური შენობა-ნაგებობა და 1 (ერთი) ერთეული ე.წ ფანჩატური. ამასთან, აღნიშნული მიწის ნაკვეთების დაკანონების მოთხოვნით მოქალაქეს თბილისის მუნიციპალიტეტთან ჰქონდა სასამართლო დავაც, თუმცა მისი სარჩელი პირველი და მეორე ინსტაციის სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის მაისის ჩათვლით კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებდა აღნიშნულ მოქალაქესთან და მის ოჯახთან, რათა მომხდარიყო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მის მიერ უნებართვოდ აშენებული ნაგებობების დემონტაჟი და კომპანიას შეძლებოდა პროექტის განხორციელება. საბოლოოდ, საკითხის დროში გაჭიანურების გამო მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება, რაც გამოიხატა იმაში, რომ კომპანიამ მოქალაქე გადაუხადა 236 800 (ორასოცდათექვსმეტიათას რვაასი) ლარი, რის დასადასტურებლადაც სააგენტოში წარდგენილი იქნა შესაბამისი საგადასახდო დავალება. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიამ მოახდინა მოქალაქის საკუთრებაში არსებული კაპიტალური შენობა-ნაგებობის გამაგრების სამუშაოები (პრევენციული სამუშაოები). სანაცვლოდ თვითნებურად აშენებული 3 (სამი) ერთეული ნაგებობიდან მოხდა ორი ერთეულის დემონტაჟი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა სამშენებლო პროცესების აქტიურად დაწყება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების 3.6 პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის განხორციელების 30 თვიანი ვადის გაზრდას 6 თვით. მოგვიანებით, კომპანიამ დააზუსტა ზემოაღნიშნული მოთხოვნა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორია ხასიათდება საკმაოდ რთული რელიეფით, ამდენად, მისი გასწორება/გამაგრების სამუშაოებმა დამატებით გამოიწვია სამშენებლო სამუშაოების გახანგრძლივება, რისი გათვალისწინებითაც მოთხოვნილია ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელების 30 (ოცდაათი) თვიანი ვადის 12 თვით გაზრდა (42 თვე), ამასთან, კომპანიის მითითებით, 3.6 პუნქტიდან ამოღებულ უნდა იქნეს ჩანაწერი განაშენიანების რეგულირების გეგმის თაობაზე, მეტი სიცხადისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის ხელშეკრულებაში და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6. პუნქტის ყალიბდება შემდეგი შინაარსით:

3.6 კომპანია ვალდებულია, ქონების მიმღები პირებისთვის გადასაცემი შესაბამისი საცხოვრებელი ფართების (შესაბამისი შენობა-ნაგებობების) მშენებლობის სრულად დასრულება (ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობით) და ფაქტობრივ მფლობელობასა და საკუთრებაში გადაცემა უზრუნველყოს პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში."

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს" (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს" (ს/ნ: 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს ,,თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს'' (ს/ნ: 404977325) შორის 2013 წელს გაფორმდა „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრის" წილის 100%-ის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულება.

წილის მართვის ხელშეკრულების 4.1.1. და 4.1.2 ქვეპუნქტების შესაბამისად, მმართველმა კომპანია მართვის უფლების გადასვლის დღიდან პირველი 5 წლის ვადაში განეხორციელებინა არანაკლებ 800 000 ლარის ინვესტიცია და ამ ინვესტიციით განეხორციელებინა მოქმედი კანონმდებლობის და თანამედროვე სტანდარტების და ნორმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის IV მ/რ, I კვარტალში მდებარე შენობა-ნაგებობის ავარიული ფლიგელის გამაგრება, ცენტრის კეთილმოწყობა და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო აპარატურით უზრუნველყოფა,

სამუშაო პირობებისა და შრომითი ანაზღაურების გაუმჯობესება. ამასთან, ინვესტიციის თანხა არ მოიცავდა მიმდინარე მოვლა-პატრონობის ხარჯებს.

წილის მართვის ხელშეკრულების 4.1.14 პუნქტის თანახმად, მმართველმა კომპანიამ იკისრა ვალდებულება საზოგადოების მიერ ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული მოგებიდან მესაკუთრისთვის გადახდა, საიდანაც მმართველი კომპანიის მიერ გადახდილია მხოლოდ 15 000 ლარი;

წილის მართვის ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, მართვის საზღაური განისაზღვრა 200 000 ლარის ოდენობით, რომლის გადახდას მმართველი კომპანია იწყებდა მართვის უფლების გადასვლის მე-4 წლიდან და იხდიდა ყოველწლიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს ყოველი წლის 10 დეკემბრისა (3.2. პუნქტი). თუმცა, მმართველი კომპანიის მიერ, დღემდე გადასახდელია ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული მართვის საზღაური, რომელიც წილის მართვის ხელშეკრულების ვადის გასვლის ანუ 2023 წლის 6 მარტის მდგომარეობით - შეადგენს 85 708,58 ლარს.

წილის მართვის ხელშეკრულების 7.3.1. ქვეპუნქტის თანახმად, მმართველი კომპანიის მიერ „მართვის საზღაურის" გადაუხდელობის ან არასრულად გადახდის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრა მართვის უფლების გადაცემის საბოლოო საზღაურის გადაუხდელი თანხის 0.1%-ით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ვინაიდან, მმართველი კომპანიის მიერ ვალდებულებები არ შესრულდა ან რიგ შემთხვევაში არაჯეროვნად შესრულდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე, სადაც დავის საგანია ფინანსური ვალდებულებების შესრულების დაკისრება.

2025 წლის 24 ოქტომბერს შპს ,,თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის'' დირექტორმა განცხადებით მიმართ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აღნიშნა, რომ მმართველი კომპანია მზადაა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე დავა დასრულდეს მორიგებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან წილის მართვის საფასურის გადაუხდელობის/სხვადასხვა პერიოდში გადახდის ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება ხდებოდა 2016 წლიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია 2023 წელს, აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნების უმეტესი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულია (გასულია მოთხოვნის 3 წლიანი ვადა). ასევე, ხანდაზმულია სასარჩელო მოთხოვნები საზოგადოების მიერ ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული მოგებიდან 2012-2013 წლებში მესაკუთრისთვის გადასახდელი დივიდენდის და მისი გადაუხდელობის გამო პირგასამტეხლს დაკისრების თაობაზე. ხოლო რაც შეეხება, წილის მართვის ხელშეკრულების 4.1.1. და 4.1.2 ქვეპუნქტების შესაბამისად, მმართველი კომპანიის ვალდებულებას ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თობაზე, სასარჩელო მოთხოვნა გარკვეულ ნაწილში მოცემულ შემთხვევაშიც ხანდაზმულია. ამასთან გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს შესაძლებლობა პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, რაც წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. შესაბამისად, განკარგულების დანართით გათვალისწინებული მორიგების პირობები სრულიად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლოს პრაქტიკას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიაჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს" შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე დავის მორიგებით დასრულება ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული მორიგების პირობების მიხედვით და შესაბამისი პირგასამტეხლოს ნაწილისგან შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის" გათავისუფლება.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ (ს/ნ: 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.ნ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები. ყოველწლიური საიჯარო ქირის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი), უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის / თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება (ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტი);

2025 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა გაიზარდა 2026 წლის 01 მაისამდე. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებს აღნიშნული ვადის დამატებით 1 (ერთი) თვით გაგრძელების შესაძლებლობას, მოიჯარის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით.

არაუგვიანეს 2025 წლის 19 ოქტომბრამდე დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა (ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტი);

2025 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა გაიზარდა 2026 წლის 01 ივნისამდე.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა შესაბამისი თანხმობები ყველა საიჯარო ქონებაზე დამტენის განთავსებასთან (I კლასის მშენებლობის წარმოებასთან) დაკავშირებით.

რაც შეეხება დამტენამდე ელექტროენერგიის მიყვანას, აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი“) შესაბამისი განცხადებებით. ამ განცხადებების განხილვის ეტაპზე, საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ლიცენზიანტის / მისი ქვეკონტრაქტორის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში (მათ შორის, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) შესათანხმებლად წარმოდგენილია შესაბამისი განცხადებები. აღნიშნული განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის ზოგიერთ საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ჩასანაცვლებელ ქონებამდე ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის საჭირო მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან ან /

და შესაბამისი გამგეობიდან, ან პრობლემა გამოწვეულია სხვა მიზეზებით. მოიჯარის მიერ არაერთი განცხადებით დაფიქსირდა მოთხოვნა ჩასანაცვლებელი ქონებების სარგებლობისთვის გადასახდელი საიჯარო ქირისგან გათავისუფლების თაობაზე.
აღსანიშნავია, რომ მოიჯარე არ ითხოვს ჩასანაცვლებელი (ნაკლიანი) ქონების გადაცემის გამო რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებას, ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის მანძილზე მოიჯარის მიერ გადახდილი საიჯარო ქირა არ გაუქმდება. ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში.
ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.
წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:
იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი (ხელშეკრულების №1 დანართი). ცვლილების შესაბამისად, წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ზოგიერთ საიჯარო ქონებაზე, რის სანაცვლოდაც კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები. ხოლო ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რომელზეც წყდება სარგებლობის უფლება, თუმცა დღეის მდგომარეობით ამ ქონებების ჩანაცვლებისთვის არ არის განსაზღვრული ალტერნატიული ქონებები, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა.
ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში.
ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა:, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, აღნიშნული საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში
წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:
იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი (ხელშეკრულების №1 დანართი). ცვლილების შესაბამისად, წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ზოგიერთ საიჯარო ქონებაზე, რის სანაცვლოდაც კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები. ხოლო ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რომელზეც წყდება სარგებლობის უფლება, თუმცა დღეის მდგომარეობით ამ ქონებების ჩანაცვლებისთვის არ არის განსაზღვრული ალტერნატიული ქონებები,

გათვალისწინებულია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა.
ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში.
ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.
მიზანშეწონილია ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, გადახდილი საიჯარო ქირის (არსებობის შემთხვევაში შესაბამისი წილობრივი ოდენობით) მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში ჩათვლა და მოიჯარისათვის დაკისრებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება (არსებობის შემთხვევაში შესაბამისი წილობრივი ოდენობით).
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს “ბრბ სოლარს“ (ს.კ.: 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების და შპს “ბრბ სოლარის“ (ს.კ.: 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით,წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:
იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი (ხელშეკრულების №1 დანართი). ცვლილების შესაბამისად, წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ზოგიერთ საიჯარო ქონებაზე, რის სანაცვლოდაც კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები. ხოლო ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რომელზეც წყდება სარგებლობის უფლება, თუმცა დღეის მდგომარეობით ამ ქონებების ჩანაცვლებისთვის არ არის განსაზღვრული ალტერნატიული ქონებები, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა.
ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა:, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი:

N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 23.07.2025წ. N25.1226.1401 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.07.2025წ. N344 განკარგულების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 30 ივლისის ბრძანებით, ა(ა)იპ „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციას“ (ს/ნ 412792214) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 4 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი №01.12.01.004.037) ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, არანაკლებ 719 913,00 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების მე-2 პუნქტის თანახმად, უზუფრუქტუარმა იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის საფარის მოწყობის, განათებისა და გარე შემოღობვის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების და ახალი გასახდელებისა და სველი წერტილების მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში, N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნის და ტრიბუნების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის, არსებული გასახდელების და სველი წერტილების რეაბილიტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვეში საფეხბურთო მოედანზე ახალ 500 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნის განთავსება.

ყოველთვიურად უსასყიდლოდ უზრუნველყოს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ღონისძიებების ჩატარების ფარგლებში 30 საათამდე ხანგრძლივობით თავისუფალი დროის გამოყოფას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებებით უზუფრუქტუარმა განმარტა, რომ №01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, მისი აღდგენა/რეკონსტრუქცია არის შეუძლებელი და აღნიშნულ შენობაში რაიმე საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს საფრთხეს. ამასთან, ობიექტს არ აქვს საავარიო შესასვლელი, რაც დამატებითი დაბრკოლებაა საგანგებო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულის დასადასტურებლად უზუფრუქტუარის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და ტერიტორიის უსაფრთხოდ გამოყენებისა და ფუნქციონირების მიზნით, არსებული შენობის დემონტაჟის განხორციელების საფუძველზე, მოთხოვნილ იქნა დადებითი პოზიციის გაცემა ახალი, მყარი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტადიონისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული კომპონენტები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებით, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, უზუფრუქტუარის მიერ მოთხოვნილ იქნა სააგენტოს ბრძანებაში ცვლილებების განხორციელება.

მოთხოვნილი ცვლილებების საფუძველზე:
უქმდება ვალდებულების შესრულების შუალედური ვადები, არსებული საფეხბურთო მოედნისა და გასახდელების, სველი წერტილების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ვალდებულებები.
უზუფრუქტუარი კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა, ჯამურად არანაკლებ 719 913.00 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით, ს/კ: №01.12.01.004.037 მიწის ნაკვეთზე მოაწყოს ახალი საფეხბურთო მოედანი, უზრუნველყოს განათებისა და გარე შემოღობვის სამუშაოების განხორციელება, მოაწყოს ახალი გასახდელები, სველი წერტილები და არანაკლებ 400 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა.
მოთხოვნილი ცვლილებით ვალდებულების შესრულების ვადა იზრდება დაახლოებით 11 თვით.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფიანანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლსეობამ გადაწყვიტა: „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე